ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

ნომერი: 11-0325358132-03
თარიღი: 24.12.2025 17:50
ვადა: 23.01.2026

განმცხადებელი (დაინტერესებული პირი)

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2
განცხადების N: 03-0325358131 განცხადების თარიღი: 24.12.2025
ხელმომწერი: ზურაბ აბაშიძე თანამდებობა: საკრებულოს თავმჯდომარე

განცხადება/ნომენკლატურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
ადმინისტრაცია
ინიციატივა/წინადადება/პეტიცია
ინიციატივა

მოთხოვნის ტექსტი

სამართლებრივი აქტების ინიცირების თაობაზე

დამატებითი ინფორმაცია

- ფურცლების რაოდენობა: 0
- დანართი: -
- პასუხის გაცემის ფორმა:

ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო
№ 11-0325358132-03
24.12.2025 : 17:50
თბილისი, 0114, თავისუფლების მოედანი N2

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

CHAIRMAN OF TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-0325358131**
თარიღი: **24/12/2025**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ა“ „ბ.ვ“ და „დ.ე“ ქვეპუნქტების, 35-ე მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის, 44-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 47-ე მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, 67-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, წარმოგიდგენთ: „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტს; “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა და აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტსა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებისთვის 2026 წელს შრომითი ხელშეკრულებით ასაყვან პირთა წლიური სახელფასო ლიმიტის დაწესების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტს.

ზურაბ აბაშიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-ქ.
თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №----
2025 წლის ----- დეკემბერი ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და ,,ნორმატიული აქტების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, გამოქვეყნების თარიღი: 19.07.2014წ., სარეგისტრაციო კოდი: 010250040.35.101.016001) და დადგენილებით დამტკიცებულ რეგლამენტში განხორციელდეს შემდეგი სახის ცვლილებები:

1. რეგლამენტის მე-9 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საკრებულოს თითოეული წევრის მიერ ცალკეული დავალებების შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ზღვრული მოცულობა შეადგენს თვეში 5665 ლარს.

3. ხარჯების განსაზღვრა ხდება ამ თანხის ზღვრული მოცულობიდან:

ა) საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარეებს უფლება აქვთ ფრაქციის თითოეულ წევრს აუნაზღაურონ ფრაქციაში მუშაობისთვის გაწეული ხარჯი არაუმეტეს 1276 ლარისა, თანახმად ფორმა N1-ისა;

ბ) საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეებს უფლება აქვთ კომისიის თითოეულ წევრს აუნაზღაურონ შესაბამის კომისიაში მუშაობისთვის გაწეული ხარჯი არაუმეტეს 1463 ლარისა, თანახმად ფორმა N2-ისა;

გ) საკრებულოს წევრს, რომელიც არ არის გაერთიანებული არცერთ ფრაქციაში ყოველთვიურად, საკრებულოს უფლებამოსილების ფარგლებში პოლიტიკური საქმიანობის განხორციელების, მოსახლეობასთან შეხვედრებისა და სხვა აქტივობების განხორცილებისთვის აუნაზღაურდეს გაწეული ხარჯი, არაუმეტეს 1276 ლარის ოდენობით თანახმად ფორმა №3-ისა;

დ) დარჩენილი 1463 ლარის საკრებულოს წევრზე გაცემის უფლება აქვს საკრებულოს თავმჯდომარეს, საკრებულოს წევრის საკრებულოს სხდომებზე დასწრების, განსახილველ საკითხებში მონაწილეობისა და ცალკეული დავალებების შესრულებისთვის, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.“

2. რეგლამენტის 15[6] მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. წარმომადგენლობის ფუნქციონირებისთვის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან საკრებულოსთვის განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში ყოველთვიურად გამოიყოფა 11 000 ლარი.”

მუხლი 2.

დადგენილება ძალაშია 2026 წლის 1 იანვრიდან.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე

განმარტებითი ბარათი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ” დადგენილების პროექტთან დაკავშირებით

ა) საკრებულოს დადგენილების პროექტის მიღების (გამოცემის) მიზეზი, პროექტის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები:

ვინაიდან „საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, 2026 წელს, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, დასაქმებულის საბაზო თანამდებობრივი სარგო იზრდება 10%-ით და განისაზღვრება 1600 ლარის ოდენობით, მიზანშეწონილია ასევე განხორციელდეს ცვლილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში. მაჟორიტარული სისტემით არჩეული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის წარმომადგენლობის ფუნქციონირებისთვის, თბილისის ბიუჯეტიდან, საკრებულოსთვის განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში, ყოველთვიურად გამოყოფილი თანხების ოდენობა, განსაზღვრულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით, შესაბამისად შედის ცვლილება „საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ, დასაქმებულის საბაზო თანამდებობრივ სარგოსთან მიმართებაში, ასევე ხორციელდება ცვლილება საკრებულოს წევრების მიერ ცალკეული დავალებების შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ზღვრული მოცულობის ნაწილში.

ბ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რომლებსაც გამოიწვევს წარდგენილი პროექტის მიღება (გამოცემა):

პროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო/ხარჯვით ნაწილზე.

გ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

დ) ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:

სამართლებრივი აქტის პროექტი არ ახდენს ზეგავლენას ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე.

ე) პროექტის ავტორია: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - ზურაბ აბაშიძე.

ვ) პროექტის წარმდგენია: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - ზურაბ აბაშიძე.

პროექტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება N

„---“ დეკემბერი 2025 წ.

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა და აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

შევიდეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა და აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-26 დადგენილებაში (ვებგვერდი www.matsne.gov.ge; გამოქვეყნების თარიღი: 16/01/2018; სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.101.016452) და დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2.

დადგენილება ამოქმედდეს 2026 წლის 1 იანვრიდან.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე

<u>დანართი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა და აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირები

თანამდებობა	რანგი	კატეგორია	რაოდენობა	თანამდებობრივი სარგო
საკრებულოს თავმჯდომარე			1	10 620
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე			1	10 080
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე			2	9600
კომისიის თავმჯდომარე			11	8000
ფრაქციის თავმჯდომარე			4	8000
ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე			11	6400
საშტატო რიცხოვნობა			30	

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი

ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირები

თანამდებობის დასახელება	რაოდენობა	თანამდებობრივი სარგო
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) – ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემების დანერგვის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი	**1**	**9315**
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (აპარატის უფროსის მოადგილე) – შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი	**1**	**7200**
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (აპარატის უფროსის მოადგილე) – ინფორმაციული უსაფრთხოების პროცესების ორგანიზების სპეციალისტი	**1**	**7200**
პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (აპარატის უფროსის მოადგილე) - პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი	**1**	**7200**
სულ ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი: 4		

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის სამდივნო

მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნოს უფროსი) –	II რანგი (საშუალო მმართველობითი	II	1	5600

ინფორმაციული უსაფრთხოების პროცესების ორგანიზების სპეციალისტი	დონე)			
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (თანაშემწე – პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი)	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	I	2	4000
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (თანაშემწე)	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	I	5	3360
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის სამდივნო				
მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნოს უფროსი)	II რანგი (საშუალო მმართველობითი დონე)	II	1	4960
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (თანაშემწე)	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	I	2	3360
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	I	1	3040
მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	II	2	2880
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის სამდივნო				
მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნოს უფროსი)	II რანგი (საშუალო მართველობითი დონე)	II	1	4960
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (თანაშემწე)	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	I	1	3360
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	I	2	3040
მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	II	2	2880
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის სამდივნო				
მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნოს უფროსი)	II რანგი (საშუალო მმართველობითი დონე)	II	1	4960
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (თანაშემწე)	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	I	1	3360
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	I	1	3040
მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	II	1	2880
მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	III	1	2880
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სამდივნო				
მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნოს უფროსი) – ინფორმაციული უსაფრთხოების დანერგვისა და ექსპლუატაციის სამართლებრივი უზრუნველყოფის სპეციალისტი	II რანგი (საშუალო მმართველობითი დონე)	II	1	5600
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (თანაშემწე)	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	I	1	3360
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	I	1	3360

პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	I	5	3040
მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	II	2	2880
მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	III	2	2560
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სამდივნო				
მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნოს უფროსი)	II რანგი (საშუალო მმართველობითი დონე)	II	1	4960
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	I	3	3040
მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	II	1	2880
მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	III	1	2560
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სამდივნო				
მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნოს უფროსი)	II რანგი (საშუალო მმართველობითი დონე)	II	1	4960
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	I	2	3040
მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	II	2	2880
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სატრანსპორტო საკითხთა კომისიის სამდივნო				
მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნოს უფროსი)	II რანგი (საშუალო მმართველობითი დონე)	II	1	4960
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	I	1	3040
მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	II	2	2880
მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	III	1	2560
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის სამდივნო				
მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნოს უფროსი)	II რანგი (საშუალო მმართველობითი დონე)	II	1	4960
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	I	2	3040
მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	II	1	2880
მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	III	1	2560
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის სამდივნო				
მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნოს უფროსი)	II რანგი (საშუალო მმართველობითი დონე)	II	1	4960
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	I	1	3040
მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	II	2	2880
მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	III	1	2560
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარებისა და საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის სამდივნო				

მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნოს უფროსი)	II რანგი (საშუალო მმართველობითი დონე)	II	1	4960
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	I	3	3040
მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	II	2	2880
მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	III	2	2560
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სამდივნო				
მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნოს უფროსი)	II რანგი (საშუალო მმართველობითი დონე)	II	1	4960
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	I	1	3040
მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	II	2	2880
მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	III	1	2560
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სამდივნო				
მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნოს უფროსი)	II რანგი (საშუალო მმართველობითი დონე)	II	1	4960
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	I	1	3040
მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	II	2	2880
მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	III	1	2560
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის სამდივნო				
მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნოს უფროსი)	II რანგი (საშუალო მმართველობითი დონე)	II	1	4960
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	I	1	3360
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	I	4	3040
მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	II	3	2880
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის სამდივნო				
მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნოს უფროსი)	II რანგი (საშუალო მმართველობითი დონე)	II	1	4960
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (თანაშემწე)	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	I	1	3360
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	I	14	3040
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის სამდივნო				
მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (სამდივნოს უფროსი)	II რანგი (საშუალო მმართველობითი დონე)	II	1	4960
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	I	1	3040
მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	II	2	2880
მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	III	1	2560

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საქმისწარმოების განყოფილება				
მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი)	II რანგი (საშუალო მმართველობითი დონე)	II	1	4960
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	I	2	3040
მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	II	4	2880
მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	III	6	2560
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილება				
მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი)	II რანგი (საშუალო მართველობითი დონე)	II	1	4960
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	I	3	3040
მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	II	2	2880
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საფინანსო-ეკონომიკური განყოფილება				
მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი)	II რანგი (საშუალო მართველობითი დონე	II	1	4960
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	I	4	3040
მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	II	1	2880
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილება				
მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი) – ინფორმაციული უსაფრთხოების დანერგვისა და ექსპლუატაციის სამართლებრივი უზრუნველყოფის სპეციალისტი	II რანგი (საშუალო მმართველობითი დონე)	II	1	5600
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	I	9	3040
მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	III	2	2560
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება				
მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი)	II რანგი (საშუალო მმართველობითი დონე)	II	1	4960
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	I	6	3040
მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	II	1	2880
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის განყოფილება				
მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი)	II რანგი (საშუალო მმართველობითი დონე)	II	1	4960
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	I	1	3040
მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	II	3	2880
მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	III	2	2560

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროტოკოლის განყოფილება				
მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი)	II რანგი (საშუალო მმართველობითი დონე)	II	1	4960
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	I	3	3040
მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	II	2	2880
მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	III	1	2560
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საგარეო ურთიერთობათა განყოფილება				
მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი)	II რანგი (საშუალო მმართველობითი დონე)	II	1	4960
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	I	1	3040
მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	II	2	2880
მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	III	1	2560
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის პროგრამული უზრუნველყოფის განყოფილება				
მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი) – კომპიუტერული უსაფრთხოების სპეციალისტი	II რანგი (საშუალო მმართველობითი დონე)	II	1	5600
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	I	3	3040
მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	II	1	2880
მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	III	1	2560
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილება				
მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი)	II რანგი (საშუალო მმართველობითი დონე)	II	1	4960
პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	I	9	3040
მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	II	1	2880
მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	III რანგი (უფროსი სპეციალისტი)	III	2	2560
	სულ: საშტატო რიცხოვნობა 194			

განმარტებითი ბარათი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის N10-26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზეზი/პროექტის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები:

წარმოდგენილი პროექტით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებისა და საკრებულოს აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივ სარგოებში ხორციელდება ცვლილება. კერძოდ, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 23 დეკემბრის N5-8 დადგენილების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირების, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირების და აპარატის პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობრივი სარგო იზრდება, ვინაიდან „საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, 2026 წელს, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, დასაქმებულის საბაზო თანამდებობრივი სარგო გაიზარდა 10%-ით და განისაზღვრა 1600 ლარის ოდენობით.

აღნიშნული ცვლილების მიზანია საკრებულოს თანამდებობის პირთა და პროფესიული საჯარო მოხელეების საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების საკანონმდებლო ცვლილებებთან შესაბამისობაში მოყვანა, ასევე ოპტიმიზაციის მიზნით ხორციელდება რამოდენიმე შიდა ტექნიკური ცვლილება, რითაც საშტატო რიცხვოვნობა არ იცვლება.

ბ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რომლებსაც გამოიწვევს წარდგენილი პროექტის მიღება (გამოცემა):

პროექტის მიღება არ მოახდენს გავლენას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო/ხარჯვით ნაწილზე.

გ) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასება, რასაც გამოიწვევს პროექტის მიღება (გამოცემა):

დადგენილების ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე.

დ) ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:

სამართლებრივი აქტის პროექტი არ ახდენს ზეგავლენას ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე.

ე) პროექტის ავტორია: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - ზურაბ აბაშიძე.

ვ) პროექტის წარმდგენია: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - ზურაბ აბაშიძე.

<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება N---

- დეკემბერი 2025 წელი ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებისთვის 2026 წელს შრომითი ხელშეკრულებით ასაყვან პირთა წლიური სახელფასო ლიმიტის დაწესების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებისათვის, 2026 წელს შრომითი ხელშეკრულებით პირთა ასაყვანად, დაწესდეს წლიური სახელფასო ლიმიტი შემდეგი ოდენობით: ფრაქციისთვის, რომლის შემადგენლობა განისაზღვრება 3 წევრით - 96 624 (ოთხმოცდათექვსმეტი ათას ექვსასოცდაოთხი) ლარი (თვეში არაუმეტეს 8052 (რვაათას ორმოცდათორმეტი) ლარი). იმ ფრაქციისთვის, რომლის წევრთა რაოდენობა აღემატება 3 წევრს, ყოველ მომდევნო წევრზე ფრაქციის ყოველთვიური სახელფასო ლიმიტი დამატებით განისაზღვროს 2090 (ორიათას ოთხმოცდაათი) ლარით, ხოლო ფრაქციის წლიური სახელფასო ლიმიტი - შესაბამისი პროპორციით.

2. პირველი პუნქტით გათვალისწინებული, ყოველთვიურად გამოყოფილი თანხის სრულად აუთვისებლობის შემთხვევაში, ფრაქციის თავმჯდომარის მოთხოვნის საფუძველზე, დარჩენილი თანხა შესაძლებელია, გამოყენებულ იქნეს შემდეგ თვეებში.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებისთვის 2025 წელს შრომითი ხელშეკრულებით ასაყვან პირთა წლიური სახელფასო ლიმიტის დაწესების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის N723 განკარგულება.

4. განკარგულება ძალაშია 2026 წლის 1 იანვრიდან.

5. განკარგულება ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N64) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე